



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 11

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი
28.02.2024

11-06-4-202402281615



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ მუხროვანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ №81.10.34.368) და მასზე მდებარე ნაგებობის - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის საქართველოს საპატრიარქოსთვის 99 წლის ვადით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 22 თებერვლის №18-1824053109 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ მუხროვანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ №81.10.34.368) და მასზე მდებარე ნაგებობა - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარი, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, გადასცეს საქართველოს წმინდა სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას 99 წლის ვადით.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N 6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე